საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ შალვა პაპუაშვილს

საქართველოს პარლამენტის ქვემოაღნიშნული
კომიტეტების თავმჯდომარეებს

- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
- ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N [redacted]
მცხ.: [redacted] ტელ.: [redacted]

განცხადება

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

აქვე, რიგი გარემოებების გამო, სასურველი იქნებოდა საკითხის ვებ გვერდზე გამოქვეყნება, მას შემდეგ რაც წამყვანი კომიტეტის მხრიდან დასრულდება წარმოდგენილ წინადადების განხილვა.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთების არსებული გამოწვევების გათვალისწინებით განსაზღვრის შესახებ;
- ✓ საქართველოს კანონის პროექტი - „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე (არასრულყოფილი ვერსია).

პატივისცემით,
03/06/2022

03/06/22

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-6862/22
"03" 06 2022 ფურცელი 31

საქართველოს პარლამენტს

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო მოსაკრებლის განაკვეთების არსებული გამოწვევების გათვალისწინებით განსაზღვრის შესახებ

- ცვლილების სახეობა:

  „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:

❖ პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია: სხვადასხვა არაოფიციალური წყაროს ცნობით, ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფება საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე, რომელთაც ყოველწლიურად რამოდენიმე ათეული ათასი საკონსულო/ სახელმწიფო სერვისი მიეწოდებათ. მოცემულ პროცესში, მომსახურების მიღებით დაინტერესებული პირებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ორგანოებისგან არა მხოლოდ ხარისხიანი და დროული მომსახურების მიღება, არამედ ადეკვატური/ სამართლიანი და რიგ გარემოებებზე მორგებული შეღავათებით სარგებლობა. უნდა იკვეთებოდეს სერვისების განფასების კუთხით სახელმწიფო ორგანიზაციათა ერთიანი სტანდარტიც. მოცემულ ვითარებაში, მხოლოდ სერვისის მიმწოდებლის თვალით შეხედვაც არამართლზომიერია, ვინაიდან ემიგრანტები რეალური დახმარების მომდლოდინე პირებად უნდა იქნეს მიჩნეულნი[1]. სავარაუდოდ, ამ გამოწვევებს უკავშირდება „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტში მოცემული ჩანაწერი - რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახის ცნობების გაცემა, დოკუმენტების გაცემის ფაქტის დადასტურება, დოკუმენტების თარგმნა თუ დოკუმენტის/ ინფორმაციის გამოთხოვა სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობის მატარებელიც შეიძლება იყოს. ასევე, აუცილებელია, რომ საკონსულო ფუნქციებმა და მისმა სატარიფო პოლიტიკამ გაატაროს სახელმწიფო პოლიტიკაც[2]. სწორედ, რომ ზემოხსნებელის მხედველობაში მიღებით განხორციელებული „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის[3] ანალიზმა (იდენტიფიცირებული პრობლემები მოცემულია ქვემოთ) ცხადყო, რომ ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები, რომელთა გადაჭრის გზები, მომსახურების ეკონომიკური ღირებულების და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის შეფასების შედეგად, წარმოდგენილია ხსენებული საკანონმდებლო წინადადებების ფარგლებში[4].

❖ ტარიფების კორექტირება და დამატებითი განსაზღვრა:

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება;

[2] კონსტიტუციით გამოხატული იდეამ საკანონმდებლო ასახვა ალბათ უნდა ჰპოვოს, მიუხედავად პრაქტიკაში არსებული გამოწვევებისა;

[3] მიუხედავად იმისა, რომ „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში, მისი მიღებიდან (01/10/2010) დღემდე ხუთჯერ განხორციელდა ცვლილება - 17/07/2012, 05/03/2014, 02/05/2014, 17/07/2015, 31/10/2018 და 26/12/2018 კანონებით ძირითადად განხორციელდა რიგი ნორმების სწორი ფორმულირება, საკონსულო მოსაკრებლის დამრგვალების საკითხი და რეადმისიის პროგრამის პოპულარიზაციასთან და ახალი სავიზო პოლიტიკის დანერგვით შექმნილი გამოწვევების მოწესრიგება;

[4] არაშესატყვისი ან/და არასრულყოფილი რეგულაციებით ხელმძღვანელობა - შეაფერხებს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

a) **საქართველოს სავიზო განაკვეთები:** "საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად - საართველოს სავიზო განაცხადის საკითხის განხილვისათვის საზღაურის ოდენობა 20 აშშ დოლარია[5][6]. საქართველოს მთავრობის 23//06/2015 280 დადგენილებით დამტკიცებული წესი"-ს შესაბამისად, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობს/ საკონსულო დაწესებულებს ენიჭებათ გაიცემა ნებისმიერი კატეგორიის (დიპლომატიური - A; სპეციალური - B; ორდინალური - C, საიმიგრაციო - D, სატრანზიტო - E) ვიზის გაცემის უფლებამოსილება[7]. ამავე წესის თანახმად, ვიზა არის **მოკლევადიანი** და **გრძელვადიანი,** ერთჯერადი ან მრავალჯერადი შემოსვლის[8] უფლებით.

- <u>გრძელვადიანი ვიზა შეიძლება იყოს</u> მხოლოდ <u>A2, B2, B3 და D კატეგორიების</u>.

მართალია დიპლომატიური (A) და სპეციალური კატეგორიის (B) კატეგორიის ვიზები გაიცემა უფასოდ[9] (რაც მისი პოლიტიკური მნიშვნელობიდან უნდა გამომდინარეობდეს). თუმცა საიმიგრაციო (D) კატეგორიის ვიზისათვის, ისევე, როგორც ორდინალური (C) და სატრანზიტო (T) კატეგორიების შემთხვევაში გათვალისწინებულია თანაბარი საკონსულო მოსაკრებელი, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით არსებულ განსაზღვრებას (*მოქმედებაზე ეკონომიკური ღირებულებისა და პოლიტიკური მნიშვნელობის შესაბამისად ტარიფის განსაზღვრას*). D კატეგორიის ვიზის გაცემის მიზნით საკითხის განხილვა:

- ✓ მოითხოვს უფრო მეტი საბუთის წარდგენის საჭიროებას (შესაბამისად განხილვას/ ინფორმაციის შეფასებას), ვიდრე ორდინალური ვიზის შემთხვევაში (ზრდის მის ეკონომიკურ ღირებულებას);
- ✓ მოითხოვს სხვა უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულების/ უწყებების ჩართულობასაც[10] (ზრდის მის ეკონომიკურ ღირებულებას);

---

[5] 2015 წლის 17 ივლისის 4059-რს კანონის შესაბამისად. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა;

[6] ანალოგიური ტარიფი არის დადგენილი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონითაც იმ უცხოელებთან მიმართებით, რომლებიც სარგებლობენ სპეციალურ ვებ გვერდს e-VISA PORTAL-ს ელექტრონული (ორდინალური) ვიზის მისაღებად.

[7] წარდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, საკონსულო თანამდებობის პირი თავად აფასებს და წყვეტს გასაცემი ვიზის კატეგორიას და მოქმედების ვადას.

[8] მოკლევადიანი ვიზა გაიცემა საქართველოში ერთჯერადი (არაუმეტეს 30 დღის ვადით) ან მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით, ხოლო გრძელვადიანი – მხოლოდ მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით. მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა გაიცემა არა უმეტეს 5 წლის მოქმედების ვადით. ამასთან, უცხოელის საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საერთო ვადა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. გრძელვადიანი ვიზა გაიცემა საქართველოში მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1 წლის მოქმედებისა და ყოფნის ვადით. გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა მხოლოდ D5 კატეგორიის ვიზის გაცემის შემთხვევაში;

[9] საკონსულო მოსაკრებლის გადასახადისგან ასევე თავისუფლდებიან - საქართველოს მოქალაქეების უცხოელი ოჯახის წევრები ვიზების გაფორმებისას; ოფიციალური დელეგაციის წევრები საქართველოს ვიზების გაფორმებისას; პირები საქართველოს დიპლომატიური და სპეციალური ვიზების გაფორმებისას; საქართველოს საპატიო მოქალაქეები და საქართველოს საპატიო კონსულები საქართველოს ვიზების გაფორმებისას და ა.შ.

10 წარმომადგენლობა ვალდებულია, დიპლომატიური, სპეციალური და საიმიგრაციო ვიზების გაცემის საკითხი შეათანხმოს საკონსულო დეპარტამენტთან;

- ✓ ქმნის გრძელვადიანი მიზნით საქართველოში ყოფნის წინაპირობას (ხაზს უსვამს მის პოლიტიკურ მნიშვნელობას)

საკითხი მოითხოვს შესაბამისად დახვეწას. რეგულაციის მოწესრიგების მიზნით, შესაძლებელია გადასახდელი ტარიფების მოკლევადიან და გრძელვადიან ვიზებად დაყოფა[11], რა დროსაც გრძელვადიანი ვიზის მისაღებად დაწესდება 50%-ით მეტი მოსაკრებელი. საქართველოს ლიბერალური სავიზო პოლიტიკის[12] გათვალისწინებით, მოცემული საკანონმდებლო ცვლილება უარყოფით გავლენას არ იქონიებს საიმიგრაციო პროცესებზე[13], თუმცა, დადებითაც იმოქმედებს სავიზო მოსაკრებლით გათვალისწინებული შემოსავლების ზრდაზე.

<u>ცნობისათვის:</u> სავიზო მოსაკრებლის დიფერენციაცია არ არის უცხო არა თუ მსოფლიოს უმრავლესი სახელმწიფოებისთვის, არამედ საქართველოსათვისაც კი - 2014 წლის 1 სექტემბრამდე[14] სავიზო მომსახურების საკითხის განხილვისათვის მოქმედებდა მოსაკრებლის განსხვავებული ტარიფები. ფორსმაჟორულ ვითარებაში 17/07/2015 მიღებული ცვლილების შემდგომ კი, სავიზო ტერიფების გადახედვა (საკითხის მოწესრიგება) აღარ მომხდარა, რაც საბიუჯეტო შემოსავალზეც სავარაუდოდ უარყოფითად აისახება.

b) კერძო (სანოტარო) აქტების განაკვეთების გათანაბრება: საქართველოს მთავრობის 29/12/2011 507 დადგენილებით დამტკიცებული წესის და ვადების 31-ე მუხლის თანახმად - ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების, მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურების, მოქალაქის განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ფაქტის დადასტურების, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურებისა და მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურებისათვისათვის განსაზღვრულია თანაბარი საზღაური (2 ლარი), ხოლო მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურებისათვის კი რამდენჯერმე მეტი თანხა (10 ლარი). ამასთან, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ანდერძისა და მინდობილობის/ რწმუნებულის დადასტურებაზე (10 აშშ დოლარი) უფრო მეტი თანხა გადაიხდევინება მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურების, მოქალაქის განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ფაქტის დადასტურების, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურებისა და მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურებისათვისათვის

---

[11] ერთჯერადი/ მრავალჯერადი შემოსვლის უფლებით მოკლევადიანი ვიზის განხილვისათვის საზღაურის გამიჯვნა ნაკლებად აქტუალურია;

[12] 05/06/2015 255 დადგენილებით დამტკიცებული ჩამონათვალით, 94 ქვეყნის მოქალაქეებს აქვს საქართველოში შემოსვლისა და უვიზოდ 1 წლის განმავლობაში ყოფნის შესაძლებლობა, ხოლო საქართველოს მთავრობის 05/06/2015 256 დადგენილებით დამტკიცებული ჩამონათვალით, 50 ქვეყნის ვიზის ან/და ბინადრობის ნებართვის მფლობელ პირებს, შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და 180 დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის განმავლობაში ყოფნა. გასათვალისწინებელია საქართველოს ორმხრივი/ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებიც;

13 უცხოელი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე;

[14] 05/03/2014 2050-IIს კანონით ნებისმიერი კატეგორიის ვიზისთვის დაწესდა ერთნაირი მოსაკრებელი 50 აშშ დოლარის ოდენობით.

(15 აშშ დოლარი), რაც სავარაუდოდ არამართლზომიერია/ არასამართლიანია. მხედველობაშია მისაღები, რომ:

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31/032010 71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლის შესაბამისად, საჯარო აქტისგან განსხვავებით, კერძო აქტის გაფორმებისას უფლებამოსილ პირს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მისი კანონმდებლობასთან შუასაბამოსი ან აქტში ხელმოწერის ნების არაადეკვატურად ასახვის (ნების გამოვლენის) გამო.

საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირები, სანოტარო მოქმედებების შესრულებისას, მოქმედებენ იმავე პრინციპით, როგორც ეს ნოტარიუსებს გააჩნიათ, საკონსულო მოსაკრებლებიც იმავე მეთოდებით უნდა იქნეს გამოანგარიშებული, როგორც ეს ნოტარიუსების მიერ შესრულებულ ქმედებებთან მიმართებით არის დადგენილი. შესაბამისად, არსებული ცდომილების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილი იქნებოდა:

- მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურების, მოქალაქის განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ფაქტის დადასტურების, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურებისა და მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურებისათვისათვის დაწესებული მოსაკრებელი გაუთანაბრდეს „დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების განსაზღვრულ მოსაკრებლის ოდენობას და გახდეს - 5 აშშ დოლარი.

ტარიფების რაციონალურად განსაზღვრა[15] დადებითად იქნება შეფასებული საზღვარგარეთ მყოფ თანამოქალაქეთა მიერ.

c) **ანდერძის დამოწმებაზე მოსაკრებლის საკითხის რეგულირება.** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირი ადასტურებს და აუქმებს ანდერძებს[16]. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის „კ.ა“ და „კ.ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებელი განსაზღვრულია ანდერძის დადასტურებისა და ანდერძის გაუქმებისათვის. ამასთან, სამოქალაქო კოდექსით და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით სანოტარო წესით ანდერძის დამოწმების უფლება გააჩნდეთ მხოლოდ ნოტარიუსებსა და სამოქალაქო კოდექსის 1359-ე და „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 43-ე მუხლებში მითითებულ თანამდებობის პირებს.

---

[15] გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საკონსულო სამსახურებში სანოტარო მოქმედებები უმეტეს შემთხვევაში მინდობილობის/ რწმუნებულების შედგენის და ხელმოწერის დამოწმების მხრივ ხორციელდება, საკანონმდებლო ცვლილებით არსებითი დანაკლისი არ მიადგება საბიუჯეტო შემოსავლებს.

[16] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა, შეიძლება შეასრულონ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებით. საკონსულო დაწესებულებებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს სანოტარო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება ენიჭებათ მხოლოდ ელექტრონული სანოტარო რეესტრის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1359 მუხლი (ანდერძის დადასტურებისას ნოტარიუსთან გათანაბრებულნი არიან)	ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 43 მუხლი[17] სანოტარო წესით დადასტურებულ დოკუმენტებს უთანაბრდება
საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;	საავადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფ ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ; ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსის ან მორიგე ექიმის მიერ
საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;	საძიებო-სადაზვერვო და სხვა, მათ მსგავს ექსპედიციებში მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ექსპედიციის უფროსის მიერ
გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;	საქართველოს ალმით მცურავ საზღვაო გემზე ან საჰაერო ხომალდზე მყოფ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ საზღვაო გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ;
სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;	სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სანოტარო ბიურო და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, – აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ
პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, თუ მოანდერძე პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული	პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ დაწესებულების დირექტორის მიერ

საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ანდერძის გაფორმებასთან და ხსენებული დოკუმენტის ცნობასთან[18] დაკავშირებით საკითხის შემდგომ

17 „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ ნოტარიუსები და ამ კანონის 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები, რეგისტრაციაში ტარდება ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.

შეფასებამდე[19], სასურველი იქნებოდა ხსენებულ სანოტარო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების გაუქმება. თუმცა, კანონშესაბამისობის დადგენის შემთხვევაშიც, ალბათ გონივრული/ ჰუმანური იქნებოდა, პირის უკანასკნელის ნების გამოხატვასთან დაკავშირებით (მითუმეტეს, ახლო ნათესავებთან და სამშობლოსთან სათანადო კავშირის უქონის პირობებში) საზღაურის განაკვეთის არ არსებობა[20].

d) უცხოელთა მომსახურებაზე მოსაკრებლის განსაზღვრა: საგულისხმოა, რომ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით იქმნება შესაძლებლობა, საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, გაეწიოს საკონსულო მომსახურება უცხო ქვეყნის სახელმწიფოთა მოქალაქეებს[21]. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გარემოება ერთგვარი ნაცვალგების შედეგი იყოს[22], „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით არ დგინდება ერთიანი სტანდარტი განსხვავებული სატარიფო პოლიტიკის დაწესების შესახებ. საქართველოს დაბალი საკონსულო სატარიფო პოლიტიკის[23] გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა უცხოელთათვის საკონსულო მომსახურებაზე განსხვავებული მოსაკრებლის განაკვეთების შეთავაზება.

სახელმწიფო[24]	მინდობილობის დამოწმება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება	დოკუმენტიდან ამონაწერის ან დოკუმენტის ასლის დამოწმება	ნასამართლობის შესახებ ცნობა	მოქალაქეობის შესახებ ცნობა	დასაბრუნებელი მოწმობა
საქართველო	10$	5$	3$	უფასო	25$	35$
სომხეთი	30-60$	14$	20$	50$	50$	20-60$
უკრაინა	30-60$	20$	10$	---	20-30$	30$
მოლდოვა	27 £	9 £	2 £	32 *£	9-45 £	23 £

ამას გარდა, მოსაკრებელთან მიმართებით დღეს არსებული მოცემულობა, საქართველოს ფიზიკური პირის (ემიგრანტის) მიერ, არათანასწორ

---

[18] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის თანახმად, ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით;

[19] სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლის თანახმად, შინაურული ანდერძი გულისხმობს, რომ „მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას." ასეთი ანდერძი მოანდერძემ შეიძლება თვითონ შეინახოს ან შესანახად სანოტარო ბიუროს ჩააბაროს. სამოქალაქო კოდექსის 1367-ე მუხლი კი შესაძლოა ანდერძის ალტერნატიულ ფორმას გვთავაზობდეს;

[20] შესაძლოა საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაფორმებულ სანოტარო მოქმედებათა შორის - ანდერძის დამოწმების ხვედრითი წილი - 0.1%-საც არ შეადგენდეს;

[21] დაუზუსტებელი ინფორმაციით მხოლოდ ორ სახელმწიფოსთან არის მიღწეული მსგავსი შეთანხმება;

[22] „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს საკონსულო მოსაკრებლის გადახდის საფუძვლებს (საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, ასევე, ნაცვალგება)

[23] საკონსულო მოსაკრებლების ოდენობა უმეტესწილად მორგებულია საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს ფიზიკურ პირთა შესაძლებლობებზე, რაც ხსენებული პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე მომსახურების გაწევის ეკონომიკური ღირებულებით ალბათ არ გამოიანგარიშება. საქართველოსგან განსხვავებით, მთელ რიგ უცხო სახელმწიფოებს საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებით დაწესებული აქვთ უფრო მეტი განაკვეთით საკონსულო მოსაკრებელი.

[24] წყარო:

- ✓ https://www.mfa.am/en/fees/
- ✓ https://regatulunit.mfa.gov.md/en/content/consular-fees-and-additional-fees

შესაძლებლობადაც შეიძლება იქნეს აღქმული (ერთი და იგივე პირობებში ჩაყენება - შესაძლოა უთანასწორო მდგომარეობას ქმნიდეს). სასურველია, რომ ბინადრობის არქმეონე უცხო ქვეყნის მოქალაქესთან მიმართებით[25] განხორციელებულ საკონსულო ფუნქციებისათვის დაწესებულ იქნეს თუგინდ 50%-ით მეტი განაკვეთი, ვიდრე ამას „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით მოცემული ტარიფები ითვალისწინებს (გარდა სავიზო მომსახურებისა[26]). ამასთან, შესაძლოა, რომ „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შემდგომში მიღებულმა „სანოტარო მოქმედებების შესრულების წესმა" დასაშვებად ცნოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სანოტარო მოქმედებების შესრულება. უცხო ქვეყანაში სანოტარო ბიუროში (განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში) არსებული მაღალი განაკვეთების გამო, საქართველოში გამოსაყენებელი მინდობილობის შედგენა არჩიონ საქართველოს საკონსულო სამსახურში (შესაბამისად - მოცემული კუთხითაც ტარიფების გადახედვა დამატებით მიზანშეწონილობას უნდა იძენდეს).

e) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების განაკვეთები: „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 11-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთ ძირითად საკონსულო ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურება. ამავე კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოებთან

---

[25] საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორებიც - საქართველოს მოქალაქეს თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებს და თავისუფლებებს. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" ვენის კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობა ხელშეუხებელია, რაც საელჩოს ტერიტორიაზე წარმდგენი სახელმწიფოს (ჩვენს შემთხვევაში - საქართველოს) იურისდიქციის გავრცელებას ალბათ უნდა გულისხმობდეს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ასევე ვრცელდება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის)

[26] სავიზო მოსაკრებელი ცალსახად უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის დაწესებული მომსახურების განაკვეთია. ხოლო საკონსულო ლეგალიზაცია კი უმეტესწილად უცხოელებს ამ მოთხოვნისათვის წარსადგენი დოკუმენტების სრულყოფისათვის ესაჭიროებათ. https://www.geoconsul.gov.ge/ka/help?id=Verification იხ. დამოწმებასთან დაკავშირებით მოცემული ინფორმაცია (საკონსულო ლეგალიზაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით გამოწვევის შესაფასებლად).

ურთიერთობისას. ამას გარდა, გემებთან და ეკიპაჟის წევრებთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი, გემების დოკუმენტების გაფორმებასთან მიმართებით მოცემულია „საკონსულო ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის მე-5 მუხლის „l“ ქვეპუნქტსა და საქართველოს ორმხრივ საკონსულო კონვენციებშიც[27]. მართალია „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ სქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4–მე-6 პუნქტების საფუძვლად, ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული დარგობრივ უწყებასთან ერთობლივი ბრძანებები, თუმცა, საჭირო მომენტში აღნიშნულმა ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის და უფლებამოსილების განხორციელებას.

- „საქართველოს საზღვაო კოდექსი“-ს 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მთავარ რეგისტრატორს გემის რეგისტრაციასთან დაკავშურებული უფლებამოსილების დელეგირება შეუძლია ასევე მოახდინოს საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირზე.

„საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს საზღვაო კოდექსით გათვალისწინებული მომსახურებისათვის, რაც სავარაუდოდ ხარვეზს უნდა წარმოადგენდეს. სასურველი იქნებოდა „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის ანალოგიური მოსაკრებლების დაწესება საქართველოს დროშით მცურავი გემის რეგისტრაციასთან[28] დაკავშირებით - (საოკეანო ნაოსნობა - იახტები და კატარღები - 500$+80$ ექვივალენტს ლარში[29]). ხსენებული ალბათ ხელს შეუწყობს უცხოეთში, ადგილზე ხომალდის შეძენასთან/ რეგისტრაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას, ასევე, საერთაშორისო ნაოსნობისას მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის ან/და დაკარგვის/ დაზიანების შემთხვევაში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის პროცესებს (საკითხის ადგილზე გადაწყვეტა მიმზიდველი იქნება დროის და ფინანსების დაზოგვის მსურველი პირებისათვისაც).

<u>ცნობისათვის:</u> 27/06/1997 მიღებული „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა საზღვაო და საჰაერო ხომალდებისათვის გასაწევ მთელ რიგ საკონსულო მომსახურებებისათვის გადასახდელებს, თუმცა, ახალი კანონით (15/10/2010) საკითხი აღარ იქნა რეგულირებული.

❖ <u>შეღავათებით მოსარგებლებლე პირთა დამატებითი განსაზღვრა:</u>

a) <u>თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებაში მყოფი პირები:</u>

იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო სამართლით უცხო ქვეყნის მოქალაქე დაკავებულ პირს გააჩნია დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან/ საკონსულო დაწესებულებებთან კონტაქტის დამყარების უფლება,

---

[27] იტალიასთან, კონვენციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ვ“ ქვეპუნქტი (საზღვაო დოკუმენტების განახლება); უზბეკეთთან, კონვენციის 37-ე მუხლის „n” ქვეპუნქტი, რუმინეთთან, კონვენციის 31-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[28] საზღვაო კოდექსის 35-ე მუხლის გათვალისწინებით გემის რეგისტრაციაში გატარების დასტურდება რეგისტრაციის მოწმობით, რომელიც შეიძლება იყოს დროებითი, ვადიანი ან მუდმივი. პატარა გემის რეგისტრაცია არის მუდმივი. ხოლო დიდი გემის რეგისტრაციის მოწმობა ექვემდებარება ყოველწლიურ დამოწმებას.

[29] საკითხი სავარაუდოა მოითხოვდეს შესაბამისი დარგობრივი უწყების პოზიციის მოპოვებას.

აუცილებელი ხდება, რომ უცხო სახელმწიფოში წარმოდგენილმა ორგანომ (საზღვარგარეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი) შემხვედრი ნაბიჯები გადადგას პატიმრის/ თავისუფლება აღკვეთილი პირის უფლებების რეალიზაციის პროცესში. „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 13-ე მუხლის შესაბამისად, სამართლებრივი დაცვა (თავისთავად მათ შორის დაკავებულ პირებთან მიმართებითაც) შესაძლებელია გამოიხატოს უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის ისეთი ფორმით, როგორიცაა - სხვადასხვა სახის დოკუმენტების გაფორმების მხრივაც[30]. საგულისხმოა, რომ მოცემული ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონში 12/07/2016 შეტანილი ცვლილებებით (კანონი 5588 II-ს) ფიზიკური პირები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა ქვემოაღნიშნული დოკუმენტების გამოთხოვისათვის:

- ✓ გარდაცვალების მოწმობა;
- ✓ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა;
- ✓ ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებები;
- ✓ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტი;
- ✓ დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილება.

ამასთან, ყურადსაღებია, რომ კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათით[31] კანონის მიღების მიზეზად მოშველიებული არგუმენტი, რომლის საფუძვლადაც სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული:

- ➢ გამომდინარე იქიდან, რომ ზემოხსენებული დოკუმენტების მოპოვება/დაინტერესებულ პირთათვის მიწოდება საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა საქმიანობის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს (წარმოადგენს რა სამართლებრივი დაცვის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას)[32].

დელეგირებულ საკონსულო ფუნქციებთან მიმართებით უცხოეთში მყოფ დაკავებულ მოქალაქეებთან მიმართებით სახელმწიფოს ჰუმანური პოლიტიკა გამოხატულია საქართველოს მთავრობის 29/12/2011 508 დადგენილებით (მე-5 მუხლის მე-15 პუნქტი), რომლის შესაბამისად:

---

[30] „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დაცვა შეიძლება გამოიხატოს უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობითაც (სხვადასხვა ცნობის გაცემა, დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება, დოკუმენტის თარგმნის შესრულება ან დამოწმება, დოკუმენტის და ინფორმაციის გამოთხოვა).

[31] იხ. ბმული: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120378

[32] საქართველოს მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრების ან სხვაგვარად თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში, ასევე, საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში სასამართლოში წარმოებულ სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებთან მიმართებაში საკონსულო თანამდებობის პირი ვალდებულია თვალყური ადევნოს მათ მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებებს. ასევე, გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის ცხედრის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით იგი უზრუნველყოფს დოკუმენტაციის გაფორმებას (გარდაცვალების მოწმობის გამოთხოვას/დამოწმებას ან/და დარეგისტრირებას) და სხვა საჭირო პროცედურებს.

- საკონსულო თანამდებობის პირის მომსახურების (პასპორტი, განმეორებითი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობა/ ცნობა და ა.შ.) საფასურის გადახდისაგან, სტაციონარში მყოფ პირებთან ერთად, თავისუფლდებიან საზღვარგარეთ სასჯელაღსრულების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში მყოფი პირები.

საგულისხმოა, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთა საჭიროებები, არა მხოლოდ ზემოხსენებული მომსახურებებით და სამართლებრივი დაცვიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, არამედ ყოფითი საკითხების გადასაჭრელად (არასრულწლოვანი შვილის შესაძლებლობის ხელშესაწყობად, ქონების განსაკარგავად და სხვ.). ამასთან, უცხო ქვეყნის ციხის ადმინისტრაციის მიერ შედგენილ სანოტარო აქტების გამოყენება პრაქტიკულად რთულია, ვინაიდან იგი დამატებითი პროცედურების განხორციელებას მოითხოვს (დამოწმება, თარგმნა). ამ ასპექტშიც იკვეთება საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირის დახმარების საჭიროება. თუმცაღა, განსხვავებით ზემოხსენებული სამართლებრივი აქტებისა, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღმკვეთ დაწესებულებაში მყოფი პირებისათვის შეღავათების დაწესებას. იმისათვის, რომ არიდებულ იქნეს ფინანსური ვალდებულება, ყოველი გამოწვევის დროს დგება დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის/ საკონსულო დაწესებულებისთვის მიმართვის საჭიროება - რაც ასევე მოითხოვს დამატებით ადამიანური/ შრომითი/ დროითი რესურსის ხარჯვას. მოცემული უფლებამოსილების/ შუამდგომლობის განხორციელების პროცესში, იკვეთება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვის/ დამუშავების უზრუნველყოფის დამატებითი საჭიროებაც. ზემოხსენებული მიდგომის გადასაჭრელად, მიზანშეწონილია შეღავათებით სარგებლობასთან დაკავშირებით ერთიანი სტანდარტის დადგენა.

b) სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პირები: საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით, არც თუ მცირე რაოდენობას წარმოადგენს იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის/ დაშავების გამო ხვდებიან სამედიცინო დაწესებულებებში[33]. მოცემული კატეგორიის პირებთან მიმართებით საქართველოს მხარდამჭერი პოლიტიკა განსაზღვრულია, საქართველოს მთავრობის 29/12/2011 508 დადგენილებით (მე-5 მუხლის მე-15 პუნქტი) საკონსულო თანამდებობის პირის მომსახურების მიერ დელეგირებულ საკონსულო ფუნქციების (პასპორტი, განმეორებითი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობა/ ცნობა და ა.შ.) განხორციელებისთვის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან სტაციონარში მყოფი პირები. ამასთან, ხსენებული პირები ვერ სარგებლობენ შეღავათებით ძირითად საკონსულო ფუნქციებთან მიმართებით. საგულისხმოა, რომ „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონი სტაციონარში მყოფ პირებს არ ათავისუფლებს

[33] „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ფიზიკური პირების სამართლებრივი დაცვა შეიძლება განხორციელდეს კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობის გზითაც.

საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის შემთხვევაშიც[34] კი (ფინანსური გამოწვევების თუ სხვა გარემოებების გამო, არც თუ იშვიათად დგება მკურნალობის პროცესის საქართველოში გაგრძელების საჭიროება). საჭიროა საკონსულო მოსაკრებლის დონეზეც საქართველოს მხარდამჭერი ნორმების მიღება (თუგინდ მხოლოდ სამგზავრო დოკუმენტის გაფორმებასთან მიმართებით).

c) **ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი პირები:** ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის დაბრუნებისას იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ან მუდმივად მცხოვრები პირიცაა[35], გათვალისწინებული უნდა იქნას:

- ✓ პირადი უსაფრთხოება,
- ✓ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე დაწყებული სამართალწარმოება,
- ✓ პირის ნებაყოფლობითი დაბრუნება.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისათვის სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს:

- ✓ ტრეფიკინგის მსხვერპლის სამზავრო დოკუმენტის (სათანადო დოკუმენტების არ ქონის შემთხვევაში) ან სხვა ისეთი ნებართვის გაცემა მიმღები სახელმწიფოსათვის, რაც აუცილებელია ტრეფიკინგის მსხვერპლის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისათვის[36];
- ✓ პირის დაბრუნება „უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე";
- ✓ პირის უფლებებისა და ღირსების დაცვით.

თუმცა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/ დაზარალებულ/ სავარაუდოდ მსხვერპლ[37] საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში

---

[34] საქართველოს მთავრობის 30/06/2014 426 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განცხადების საფუძველზე საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა შეიძლება გაიცეს თუ დასაბრუნებელი მოწმობა გაიცემა პირზე, რომლის ნების გამოხატვა შეუძლებელია მისი მძიმე ავადმყოფობის გამო და რომელსაც არა ჰყავს წარმომადგენელი, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს ცნობა/დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნული პირის მხრიდან ნების გამოხატვის შეუძლებლობას, აგრეთვე, განცხადების წარმდგენ პირთან (მეუღლე, პირდაპირი ხაზის აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავი, და ან ძმა) მისი ნათესაური კავშირის არსებობას;

[35] პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს საკუთარ მოქალაქეს ან მუდმივად მცხოვრები პირის უკან დაბრუნებას დაუბრკოლებლად, მისი პირადი უსაფრთხოების სათანადო დაცვის გათვალისწინებით, თუ ეს პირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი გახდა მიმღებ სახელმწიფოში;

[36] ევროპის საბჭოდ კონვენცია ითვალისწინებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც შესაბამისი დოკუმენტაციის არმქონე ტრეფიკინგის მსხვერპლის წარმოშობის სახელმწიფო უზრუნველყოფს მიმღები სახელმწიფოსათვის სამგზავრო დოკუმენტაციის ან ნებართვის გადაცემას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მსხვერპლის მის ტერიტორიაზე შესვლა.

[37] საქართველოს მთავრობის 11/04/2014 284 დადგენილებით დამტკიცებული ერთიანი სტანდარტებისა და წესის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სავარაუდო მსხვერპლის გამოვლენის ან თვითიდენტიფიცირების შემთხვევაში, ფონდი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სპეციალური მობილური ჯგუფის გაგზავნა. სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას ივსება კონფიდენციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი, რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება მუდმივმოქმედ ჯგუფს. სპეციალური მობილური ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლის საიდენტიფიკაციო კითხვარის მიწოდებიდან 48 საათის განმავლობაში, მუდმივმოქმედი ჯგუფი შეისწავლის კითხვარში მოცემულ ინფორმაციებს, განიხილავს სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საკითხს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუდმივად მცხოვრებ პირთა უსაფრთხო რეპატრიაციის მექანიზმები სათანადოდ არ ითვალისწინებს არსებულ გამოწვევებს. მაგალითად - საკანონმდებლო დონეზე არც საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი და არც საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს იმ შესაძლებლობებს და ქმედებებს, რომლითაც შეეწყობოდა ტრეფიკინგის მსხვერპლის საქართველოში რეპატრიაციის პროცესს. საკონსულო თანამდებობის პირმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პირის უსაფრთხო და დროული საქართველოში გამომგზავრება, სხვა საკითხების მოწესრიგებასთან ერთად, შესაძლოა ერთდროულად მოუწიოს შუამდგომლობა, როგორც:

- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციასთან (გამოსამგზავრებელი ბილეთის შეძენის უზრუნველყოფის მიზნით), ასევე,
- ✓ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან (საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის უფასოდ გაცემაზე თანხმობის მიღების მიზნით).

თავისთავად, ყოველი ასეთი ქმედება აფერხებს „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის უმოკლეს დროში გაცემის შესაძლებლობას. დამატებითი კომუნიკაცია (მათ შორის დოკუმენტური მასალის შექმნა) ქმნის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა სათანადო დაცულობის უზრუნველყოფის კუთხით/ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის/ პირის უფლებების/ ღირსების და უსაფრთხოების დაცვით გათვალისწინებულ რისკებს. მოცემულ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა ტრეფიკინგთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონშიც ასახვა[38] (მსხვერპლისთვის/ სავარაუდო მსხვერპლისთვის/ დაზარალებულისთვის - სამგზავრო დოკუმენტის გაფორმებასთან დაკავშირებულ ან სხვა მომსახურებაზე დაწესებულ მოსაკრებელზე შეღავათების დაწესებით[39]) და ხსენებულის საქართველოში ცხოვრების ნებართვის მქონე პირებთან მიმართებითაც განსაზღვრა[40].

d) თანამემამულის სტატუსის მქონე პირები: ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრების პირობებში, საქართველოს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ეფექტიანი და ურთიერთმხარდამჭერი დიასპორის პოლიტიკის დასახვა. განსაკუთრებით კი ყურადსაღები უნდა იყოს იმ პირებთან მიმართებით შესაბამისი ქმედებების გატარება, რომელთაც საქართველოდან წარმომავლობისა და საქართველოს

---

[38] აღნიშნული სავარაუდოდ დადებითად აისახება აშშ-ს სხვალმწიფო დეპარტამენტისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ტრეფიკინგის ანგარიშებში;

[39] გამომდინარე იქიდან, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლის სურვილს/ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს შესაძლოა არ წარმოადგენდეს საქართველო - შესაძლოა უფლებების რეალიზაციის ხელშემწყობ საკონსულო სერვისებზე ხსენებული მოცემულობის განსაზღვრაც (თავშესაფარში ყოფნის განმავლობაში);

[40] საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

საკუთარ ისტორიულ სამშობლოდ აღიარების საფუძვლად მიენიჭებათ შესაბამისი სტატუსი. „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხანგრძლივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, თანამემამულის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქესაც - მისი წარმომავლობის გათვალისწინებით ან/და მშობლური ენის ქართველურ-კავკასიურ ენათა ჯგუფში მიკუთვნების შემთხვევაში. ამავე კანონის 11-ე მუხლი დგინდება ის პრივილეგიები, რომლითაც ისარგებლებენ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები (საქართველოში უვიზოდ შემოსვლა, მოქალაქეობის საკითხებზე განსაზღვრულ ტარიფებზე შეღავათებით სარგებლობა, სახელმწიფოს დაფინანსებით ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღება და ა.შ.). სამწუხაროდ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ აქტივობებს, რომლებიც ადგილზე მყოფთათვის კონკრეტულ შეღავათებს ან/და პრივილეგიებს დაუწესებდა. ხსენებული შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რეგულაციის აღსრულებასთანაც (საქართველოსთან კავშირის შენარჩუნებასა და საქართველოში დაბრუნების მიზნებთან დაკავშირებულ პოლიტიკას). სასურველი იქნებოდა საკონსულო მოსაკრებელზე გარკვეული შეღავათების დაწესება იმ პირებთან მიმართებითაც[41], რომელთაც ეს სტატუსი სახელმწიფოს მიერ დასახული პოლიტიკის შედეგად მიენიჭათ. ამასთან, „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საკონსულო მომსახურება შეიძლება ასევე მიიღონ უცხო ქვეყნის მოქალაქემაც (თანამემამულის სტატუსის მქონე პირმაც). უცხოეთში მყოფ თანამემამულის სტატუსის მქონე პირთათვის, სასურველი იქნებოდა საქართველოს კონსტუტუციის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით გაცხადებული სახელმწიფო პოლიტიკა კიდევ მეტად ხელშესახები გამხდარიყო (მაგ.: საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის უფასოდ გაცემის გზით).

e) ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირები: საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნეიტრალური დოკუმენტის მექანიზმის შემოღება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვის, დეიზოლაციისა და საქართველოსთან მობილობის გაზრდის კუთხით[42]. დოკუმენტის გაცემა 2011 წლიდან იქნა დაწყებული და დღეისათვის, სამწუხაროდ, რამდენიმე ასეულია მხოლოდ გაცემული (ძირითადად პირადობის ნეიტრალური მოწმობა). ხსნებული მის მიმართ დასახული/ გატარებული არაშესატყვისი პოლიტიკის დაგეგმვიდანაც უნდა

[41] საკონსულო თანაბრად ემსახურება ყველა საქართველოს მოქალაქეს, მათ შორის როგორც თანამემამულის სტატუსის მქონეს ან/და არ მქონე პირს.

[42] საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრირება და მათი უფლებრივი გარანტიებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკა და ეროვნული კანონმდებლობით, შესაბამისი საერთაშორისო ნორმებით განმტკიცებული პოზიტიური ვალდებულებაა.

გამომდინარეობდეს. ხსენებული დოკუმენტის მფლობელს, გარდა იმისა, რომ უნდა ფლობდეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაადგილებასთან დაკავშირებული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას, ასევე, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებულ ყველა შემხვედრ ქმედებაზეც ასახვა. „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში 2014 წლის 2 მაისს შესული ცვლილებით (კანონი 2377–IIს) საკონსულო თანამდებობის პირის უფლებამოსილება[43], უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის კუთხით, ასევე გავრცელდა პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირებზე[44]. 2014 წლის 30 ივნისს დემტკიცებულმა დებულებამ დასაშვები გახადა ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელ პირებზე საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის შესაძლებლობა, რითაც ასევე აღმოიფხვრა დოკუმენტის დაზიანების/ ვადის გასვლის/ დაკარგვის შემთხვევაში - საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობის უქონლობასთან დაკავშირებული პრობლემა. ამ მოცემულ შემთხვევაშიც - ასევე აუცილებლობას მოითხოვდა ფინანსური კუთხით მხარდარმჭერი გზავნილის არსებობაც. დებულებაში 09/09/2014 შესული ცვლილებით, საგანგებო სიტუაციების პირობებში, დასაბრუნებელი მოწმობის სერვისის ხელმისაწვდომობა გავრცელდა დოკუმენტის მფლობელი პირის ოჯახის წევრებზეც. დებულებაში 27/02/2017-ს შესული ცვლილებით კი, იგი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტადაც განისაზღვრა. საკითხი მოითხოვს უფრო ფართო შესაძლებლობისა და პრივილეგიების დადგენას, რამაც შეიძლება წაახალისოს დოკუმენტის მიღების მსურველ პირთა რიცხვიც. მართალია საკონსულო მოსაკრებლების გადახდაზე დოკუმენტების მფლობელ პირთათვის შეღავათების დაწესებას პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს (ასეთი დოკუმენტების მფლობელ პირთა რიცხოვნობიდან, მითუმეტეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფებიდან გამომდინარე), თუმცა, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მათთდამი ზრუნვაზე მზაობის გამოხატვა (თუგინდ სამართლებრივი რეგულირების გზით) სახელმწიფოს მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯად იქნებოდა ჩათვლილი[45]. შესაბამისი საბუთების გაფორმების პროცესის ხელშეწყობა, გარკვეულ (მცირე) წვლილს შეიტანს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მათი დამკვიდრებისა ან/და საზღვარგარეთ

---

[43] საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის 11-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ხსენებულ პირებს ენიჭებათ პირადი ნომერი, რაც შემხვედრ სიტუაციაში საკონსულო თანამდებობის პირების მიერ მათი იდენტიფიცირების მექანიზმებს იძლევა;

[44] ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი არის ჰუმანიტარული ხასიათის საბუთი, რომელიც აფხაზეთის და ცხინვალის მოსახლეობას საზღვარგარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღება შეუძლია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს, რომელთაც მიღებული არ აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი. მოწმობის მფლობელს შეუძლია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა, ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარება, მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია, გადამხდელად რეგისტრაცია, სახელმწიფო გრანტის მიღება, საბანკო ანგარიშის გახსნა და ა.შ.

[45] ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან სრულფასოვანი მფარველობა და მხარდაჭერა, უნდა გამოხატავდეს სსაქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ ტერიტორიული მთლიანობის იდეას.

მგზავრობისას მათი უფლებების რეალიზაციის დროს. საკონსულო მომსახურებაზე გათვისუფლება ან/და „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსად იძულებით გადაადგილებულ პირებად - დევნილებად ცნობილ პირების მსგავს მდგომარეობაში (მოსაკრებლის 50 პროცენტის გადახდისგან გათავისუფლება) ჩაყენება[46] იქნება დამატებითი „ნაბიჯი" ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში.

f) **საქართველოს საპატიო კონსულები:** საპატიო კონსულის ინსტიტუტისადმი საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი გამოიხატება საქართველოს საგარეო სტრატეგიაშიც (2019-2022), რომლის თანახმად საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებით (ინოვაციური და მოქალაქეებზე ორიენტირებული დიპლომატიური სამსახური) გათვალისწინებული მიზნის შესასრულებლად საპატიო კონსულის ინსტიტუტის ხელშეწყობაც წარმოადგენს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვისა და მათი ინტერესების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად დასახული ამოცანა (საზღვარგარეთ საკონსულო სამოქმედო არეალის გაფართოება) სწორედ, რომ უმეტესწილად საპატიო საკონსულო დაწესებულების დაფუძნებით არის შესრულებადი (ბოლო ხუთ წელიწადში, მათი რიცხვი რამოდენიმე ათეულით მეტი გახდა[47]). საგულისხმოა, რომ საქართველოს ფიზიკური პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა, „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ" ვენის კონვენციის გათვალისწინებით საქართველოს საპატიო კონსულები შეიძლება ასევე ახორციელებდნენ ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან ან/და რეგიონთან სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული თანამშრომლობის განვითარების/ გაღრმავების, ინვესტიციების მოზიდვისა და

---

[46] საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმით აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. ამას გარდა, საგულისხმოა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტები:

1. აფხაზეთის მცხოვრებლები საქართველოს მოქალაქეობას მოიპოვებენ დაბადებით და ნატურალიზაციით

2. აფხაზეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება:

ა) აფხაზეთში ამჟამად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთში 1993 წლის 30 სექტემბრამდე არანაკლებ 5 წლისა, თუ ამ თარიღიდან 6 თვეში წერილობით არ განუცხადებია უარი საქართველოს მოქალაქეობაზე;

ბ) აფხაზეთში დაბადებული, რომელმაც 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ დატოვა საქართველოს ტერიტორია და ამდენად ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის „ა" პუნქტის მოთხოვნებს, თუ მას არა აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

გ) აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელიც 1992 წლის აგვისტომდე არანაკლებ 5 წლისა ცხოვრობდა აფხაზეთში, მომხდარი ტრაგედიის შედეგად იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი და არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

დ) აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულის შვილი, რომელიც არ მიეკუთვნება 28-ე მუხლის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ პირთა კატეგორიას.

[47] საქართველოს საპატიო კონსულების სია მოცემულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე - „საელჩოები და წარმომადგენლობები/ საქართველოს საპატიო კონსულები საზღვარგარეთ" ჩანართში. იხ. ბმული:
https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/HonoraryConsulsGeorgia.aspx

ტურიზმის წახალისების ფუნქციებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, გარდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტისა, საქართველოს საპატიო კონსული (ისიც მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე[48]) სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ ვიზების გაფორმებასთან დაკავშირებული შეღავათებით[49]. გამომდინარე იქიდან, რომ მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები საკუთარი სახსრებით იფარება (საქართველოს სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფებიან, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდებაიან) მიზანშეწონილი იქნებოდა თუგინდ საკონსულო მოსაკრებლებზე შეღავათების განვრცობა. აქვე, საყურადღებოა, რომ ხსენებული მოცემულობის საპირისპიროდ შეღავათებით სარგებლობის უფლება გააჩნიათ[50]:

- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებსა და საქართველოს ინტერესთა სექციაში <u>როტაციის წესით</u> <u>სამუშაო მივლინებით</u>[51] წარგზავნილ დიპლომატიურ თანამდებობის პირებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და <u>მათი ოჯახის წევრებს</u> (მათ მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას).

სასურველი იქნებოდა საპატიო კონსულის ინსტიტუტისადმი ინტერესი და მნიშვნელობა ასახულიყოს იმ სამართლებრივ აქტებში, რომელთა გამოყენება საპატიო კონსულების ფუნქციების შესრულების ნაწილიც შეიძლება გახდეს[52].

g) ოქროს საწმისის ორდენოსნები: „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით ვიზების გაფორმებისას მოსაკრებლისაგან თავისუფლებდება საქართველოს საპატიო მოქალაქეები. აქვე, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საპატიო მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს *უცხოელს (მისი თანხმობით),* რომელსაც თავისი სამეცნიერო ან/და საზოგადოებრივი საქმიანობით განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლებითაც დაინტერესებულია საქართველო, და მისთვის საქართველოს საპატიო მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. საგულისხმოა, რომ ანალოგიურ შეღავათებს მოსაკრებელს არ ავრცელებს იმ უცხოელებზე ან/და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომელთაც სახელმწიფო ჯილდო (ოქროს საწმისის ორდენი[53]) გადაეცემათ - „საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული ინტერესების,

---

[48] „საქართველოს საპატიო კონსულის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 18/05/2016 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს საპატიო კონსულად შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქეც;

[49] საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ პუნქტი;

[50] "საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი;

[51] საქართველოს საპატიო კონსული არ იმყოფება საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. შესაბამისად, როტაციის წესით სამუშაო მივლინება ვერ განხორციელდება;

[52] „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირად ასევე განმარტებულია საქართველოს საპატიო კონსულიც, რომელიც ამავე კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება სამინისტროს და მოქმედებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მითითებით;

[53] „სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი;

უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სხვა სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციასთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის". აღნიშნულს სიმბოლური ხასიათი ექნებათ (გამომდინარე ამ ორდენის მატარებელი პირების რაოდენობისა), თუმცა, მოცემულმა ცვლილებამ შესაძლებელია პოზიტიურად იმოქმედოს საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის, კულტურის პოპულარიზაციის და სახელმწიფოთაშორის ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარების მხრივ თანაბრმნელეია ქმედებების წახალისების მხრივ;

h) "უფასო" საკონსულო სერვისების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა: „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტში საკონსულო მოსაკრებლისგან გათავისუფლებულ მომსახურებათა შორის ფიქსირდება „ნასამართლობის შესახებ ცნობების" გაცემის საკითხიც[54]. ამასთან, „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გვხდება ისეთი ძირითადი საკონსულო ფუნქციები/ მომსახურებები (კონსულტაცია, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება/ მოხსნა), რომელთაც „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით, მსგავსად ზემოხსენებული ცნობისა, არ აქვთ განსაზღვრული განაკვეთი. სასურველია ერთნაირი მიდგომის დანერგვა ზემოხსენებულ სერვისებზეც უფასო მომსახურების კატეგორიად მინიშნება ან შეღავათების ნაწილიდან ნასამართლობის შესახებ ცნობების გაცემის თაობაზე მითითებითი ნორმის ამოღება.

- <u>**მოსაკრებლის ზუსტი ოდენობით შეგროვება**</u>: „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5[1] მუხლში მოცემულია მითითებითა საკონსულო მოსაკრებლის უკან დაბრუნების შემთხვევებისა და წესის თაობაზე საკითხის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრის შესახებ. ამასთან, სასურველი იქნებოდა რეგულირდებოდეს არა მხოლოდ მეტობით თანხის გადახდასთან დაკავშირებული გამოწვევა, არამედ, მოსაკრებელის ნაკლოვანებით შექმნილი პრობლემები გარემოებები[55] (უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები)[56].

---

[54] ჩანაწერით თუ ვიმსჯელებთ დოკუმენტის მიღებისათვის განთავისუფლებულია ყველა პირი, ყველა გარემოების გათვალისწინებით;

[55] მოსაკრებლის არასრულყოფილად გადახდის საფუძვლად (რაც შეიძლება გამოვლინდეს განაცხადის განხილვის პროცესში), ისე, რომ საჭიროებისამებრ, არ გამოირკვეს აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი, საქმის უარყოფითად დასრულებით დაზარალდება მოქალაქის ინტერესი. ამასთან, მოსაკრებლის არასრულყოფილად ან/და არასათანადოდ დაანგარიშებებით (საბიუჯეტო საშემოსავლო ნაწილისათვის ზიანის მიყენება) მომსახურების გამწევ პირს უნდა მიეთითოს პასუხისმგებლობის ფორმაც;

[56] საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. მხოლოდ კანონით შეიძლება გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა. გადასახადისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით. საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული საგადასახადო ორგანოები.

- ცვლილების მიზანი: კანონის პროექტის მიზანია საკონსულო მოსაკრებლებზე ტარიფების და შეღავათების დადგენა მისი ეკონომიკური ღირებულების და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით. ასევე, თანასწორუფლებიანი და კანონშესაბამისი განაკვეთების განსაზღვრით.
- ცვლილების არსი: წარმოდგენილი კანონპროექტით:
  a) კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი დაკორექტირდება, რომლის შედეგად ახლებურად განისაზღვრება სავიზო საკითხის განხილვასთან დაკავშირებული მოსაკრებლები;
  b) ცვლილება შევა კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ.თ" ქვეპუნქტში, რომლის შედეგად მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურებისათვის, მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურებისათვის, მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურებისათვის და დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურებისათვის დადგინდება ახალი ტარიფი 5 აშშ დოლარის ოდენობით;
  c) ამოღებულ იქნება კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტიდან „კ.ა." და „კ.ბ" ქვეპუნქტებით მოცემული ნორმები - ანდერძთან დაკავშირებული მომსახურების მოსაკრებლების თაობაზე;
  d) კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტისათვის დამატებული იქნება „მ" ქვეპუნქტით, რომლითაც განისაზღვრება საზღვაო ხომალდისათვის საკონსულო მომსახურების გაწევის მოსაკრებელი;
  e) კანონის მე-4 მუხლს ასევე დაემატება მე-4 პუნქტი, საქართველოში ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელთათვის საკონსულო მომსახურების გაწევისათვის განსხვავებული მოსაკრებლის დაწესების შესახებ;
  f) ცვლილება შევა მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისად განისაზღვრება სავიზო საკითხის განხილვაზე შეღავათებით მოსარგებლე პირები/ გარემოებები (მათ შორის მოცემული იქნება კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით „დ", ე", „ვ", „მ", ნ" და „რ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები). შესაბამისად, კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოღებულ იქნება „დ", „ე", „ვ" „მ", „ნ" და „რ" ქვეპუნქტები.
  g) კანონის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს დაემატება „ს" და „ტ" ქვეპუნქტები, ასევე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დაემატება „დ" ქვეპუნქტი, რომელიც დამატებით ადგენს საკონსულო მოსაკრებელზე შეღავათებით მოსარგებლე პირთა წრეს (თავისუფლება აღკვეთილი პირი, საპატიო კონსული/ ოჯახირთურთ, ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი).
- ფინანსური დასაბუთება: კანონის მიღება არ საჭიროებს დამატებით ფინანსურ სახსრებს. კანონპროექტის მიღება (დადებით) გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს. კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას. კანონპროექტი ითვალისწინებს მოსაკრებლის დადგენას.
- კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან: კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროპის კავშირის დირექტივებს.

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები. კანონპროექტი თანხვედრაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან/ შეთანხმებებთან.

- **კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:** კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციას/დაწესებულებას, ანდა ექსპერტებს.
- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი**

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი - [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

03/06/2022

არასრული ვერსია N1

საქართველოს კანონი „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. ,,საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   - ✓ „ბ) საქართველოს სავიზო უზრუნველყოფა:
     ბ.ა) საქართველოს მოკლევადიანი ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 20 აშშ დოლარი.
     ბ.ბ) საქართველოს გრძელვადიანი ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 30 აშშ დოლარი“.
2. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
3. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
4. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ.თ.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   - ✓ „პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება, პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება, პირის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურება, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება – 5 აშშ დოლარი“.
5. მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდგომ, დაემატოს „მ“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   - ✓ „მ) საქართველოს დროშით მცურავი გემის:
     მ.ა.) რეგისტრაციისთვის - 900 აშშ დოლარი;
     მ.ბ) რეგისტრაციის მოწმობის გაცემისათვის - 100 აშშ დოლარი.
6. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ, დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   - ✓ საქართველოში ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მომსახურების შემთხვევაში, განისაზღვრება 50%-ით მეტი ოდენობით მოსაკრებლის გადახდა (გარდა სავიზო და საკონსულო ლეგალიზაციის საკითხებისა), ვიდრე ეს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით არის გათვალისწინებული“.
7. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   - ✓ „გ) საქართველოს სავიზო უზრუნველყოფისას, შემდეგ პირებთან მიმართებით ან/და გარემოებების დროს:
     გ.ა) ოფიციალური დელეგაციის წევრ(ებ)ი;
     გ.ბ) დიპლომატიური და სპეციალური ვიზის გაფორმებისას;
     გ.გ) საქართველოს მოქალაქის უცხოელი ოჯახის წევრი,
     გ.დ) საქართველოს საპატიო მოქალაქე და სახელმწიფო ჯილდოს - ოქროს საწმისის ორდენის მფლობელი პირი“;
8. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
9. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
10. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
11. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
    - ✓ „კ) საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას, შემდეგ პირებთან მიმართებით ან/და გარემოებების დროს:

კ.ა) 18 წლამდე ასაკის პირი;

კ.ბ) ადგილსამყოფელ ქვეყანაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი საგანგებო სიტუაციების დროს;

კ.გ) სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პირი;

კ.დ) თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე;

კ.ე) ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი;

✓ კ.ვ) „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლი, სავარაუდო მსხვერპლი, დაზარალებული პირი".

კ.ზ) უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაცხადის წარდგენისას

კ.თ) საქართველოს შესაბამისი ორგანოს შუამდგომლობისას".

12. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
13. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
14. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
15. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის შემდგომ დამატებულ იქნეს „ს" ქვეპუნქტი ქვემოაღნიშნული რედაქციით:
    ✓ „საზღვარგარეთ სასჯელაღსრულების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში მყოფი პირის მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას".
16. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შემდგომ დამატებულ იქნეს „ტ" ქვეპუნქტი ქვემოაღნიშნული რედაქციით:
    ✓ „საქართველოს საპატიო კონსული და მისი ოჯახის წევრ(ებ)ი მათ მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას".
17. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შემდგომ დამატებულ იქნეს „დ" ქვეპუნქტი ქვემოაღნიშნული რედაქციით:
    ✓ „ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი, <u>გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ.ე" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას.</u>".
18. კანონის მე-5[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
    ✓ „5[1] მუხლი. საკონსულო მოსაკრებლის არასათანადოდ გადახდა
    1. კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით მოსაკრებლის გადაუხდელობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის და ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად.
    2. საკონსულო მოსაკრებელი, რომლებიც არასრულყოფილად იქნა გადახდილი ან საერთოდ არ იქნა დარიცხული, ანაზღაურდება იმ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რომლის ბრალეულობით განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხის გადახდის გარეშე მომსახურების გაწევა.
    3. საკონსულო მოსაკრებლის უკან დაბრუნების წესი და შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით".

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან[1].

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონი, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან

კანონის იმ მუხლების რედაქცია, რომლებშიც შედის ცვლილება

მუხლი 4. საკონსულო მოსაკრებლის სახეები და განაკვეთები

1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ საკონსულო მოქმედების შესრულებისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის მოსაკრებელი გადაიხდევინება შემდეგი განაკვეთებით:

ა) საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის საკითხის განხილვა – 35 აშშ დოლარი;

<u>ბ) საქართველოს სავიზო უზრუნველყოფა:</u>

<u>ბ.ა) საქართველოს მოკლევადიანი ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 20 აშშ დოლარი.</u>

<u>ბ.ბ) საქართველოს გრძელვადიანი ვიზის გაცემის საკითხის განხილვა – 30 აშშ დოლარი.</u>

გ) დოკუმენტის საკონსულო ლეგალიზაციის განხორციელების საკითხის განხილვა – ერთი დოკუმენტისათვის 15 აშშ დოლარი;

დ) საქართველოს მოქალაქის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს კომპეტენტური ორგანოებიდან დოკუმენტაციის ან ინფორმაციის გამოთხოვისათვის განაცხადის გაგზავნა – ერთი დოკუმენტისათვის 10 აშშ დოლარი;

ე) სხვადასხვა სახის ცნობის გაცემა – 25 აშშ დოლარი;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება – 25 აშშ დოლარი;

ზ) საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცნობის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის, დიპლომის, ნიშნების ფურცლის, ატესტატის, სერტიფიკატის, პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, მართვის მოწმობის, საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის საკითხებზე გადაწყვეტილების/დასკვნის თარგმანის შესრულება ან/და თარგმანის სისწორის დადასტურება – თითოეული გვერდისათვის 10 აშშ დოლარი;

თ) (ამოღებულია – 02.05.2014, №2376);

ი) (ამოღებულია - 02.05.2014, №2376);

კ) სანოტარო მოქმედებების შესრულება:

<u>კ. ა)</u> ~~<u>ანფორმის დადასტურება – 10 აშშ დოლარი;</u>~~

<u>კ.ბ)</u> ~~<u>ანფორმის გაუქმება – 5 აშშ დოლარი;</u>~~

კ.გ) დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება – თითოეული პირისათვის და თითოეული ხელმოწერისათვის – 5 აშშ დოლარი;

კ.დ) მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება – 10 აშშ დოლარი;

კ.ე) მინდობილობის/ რწმუნებულების გაუქმება – 5 აშშ დოლარი;

კ.ვ) დოკუმენტის ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის სისწორის დამოწმება – თითოეული გვერდისა თვის 5 აშშ დოლარი;

სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, <u>პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ</u>, ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.

კ.ზ) დოკუმენტის ასლის ან/და დოკუმენტიდან ამონაწერის დამოწმება ან/და სანოტარო მოქმედების შესრულების შემდეგ დაცული დოკუმენტის ასლის გაცემა – თითოეული გვერდისათვის 3 აშშ დოლარი;

კ. თ) პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება, პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება, პირის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურება, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება – 5 აშშ დოლარი;

კ. ი) საზღვაო პროტესტის შესრულება – 150 აშშ დოლარი;

ლ) (ამოღებულია – 12.06.2012, №6439);

„მ) საქართველოს დრომშით მცურავი გემის:

მ.ა.) რეგისტრაციისთვის - 900 აშშ დოლარი;

მ.ბ) რეგისტრაციის მოწმობის გაცემისათვის - 100 აშშ დოლარი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ცნობა გაიცემა ადგილსამყოფელი ქვეყნის საქმისწარმოებაში დასაშვებ რომელიმე ენაზე, მისი თარგმა ნის შესრულებისათვის დამატებითი საკონსულო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობის გაცემა და „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება ხდება ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე, ინფორმაციის გამოთხოვისა თვის ცალკე საკონსულო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

4. საქართველოში ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მომსახურების შემთხვევაში, განისაზღვრება 50%-ით მეტი ოდენობით მოსაკრებლის გადახდა (გარდა სავიზო და საკონსულო ლეგალიზაციის საკითხებისა), ვიდრე ეს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით არის გათვალისწინებული.

მუხლი 5. შეღავათები საკონსულო მოსაკრებლის გადახდაზე

1. საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) პირები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს ან საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერილი და ძალაში შესული ჰუმანიტარული ან/და ტექნიკური დახმარების შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში დახმარების განმახორციელებელი ორგანიზაციების თანამშრომლები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას;

გ) საქართველოს სავიზო უზრუნველყოფისას, შემდეგ პირებთან მიმართებით ან/და გარემოებების დროს:

გ.ა) ოფიციალური დელეგაციის წევრ(ებ)ი;

გ.ბ) დიპლომატიური და სპეციალური ვიზის გაფორმებისას;

გ.გ) საქართველოს მოქალაქის უცხოელი ოჯახის წევრი;

გ.დ) საქართველოს საპატიო მოქალაქე და სახელმწიფო ჯილდოს - ოქროს საწმისის ორდენის მფლობელი პირი.

~~დ) ოფიციალური დელეგაციის წევრები საქართველოს ვიზების გაფორმებისას;~~

ე) ~~პირები საქართველოს დიპლომატიური და სპეციალური ვიზების გაფორმებისას;~~

ვ) ~~საქართველოს საპატიო მოქალაქეები და საქართველოს საპატიო კონსულები საქართველოს ვიზების გაფორმებისას;~~

ზ) პირები რეპატრიაციის საკითხებთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებისას;

თ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები;

ი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

კ) საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას, შემდეგ პირებთან მიმართებით ან/და გარემოებების დროს:

კ.ა) 18 წელზე ნაკლები ასაკის პირი;

კ.ბ) ადგილსამყოფელ ქვეყანაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი საგანგებო სიტუაციების დროს;

კ.გ) სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პირი;

კ.დ) თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე

კ.ე) ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი;

კ.ვ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლი/ სავარაუდოდ მსხვერპლი, დაზარალებული პირი;

კ.ზ) უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაცხადის წარდგენის შემთხვევაში;

კ.თ) საქართველოს შესაბამისი ორგანოს შუამდგომლობის შემთხვევაში.

ლ) პირები საქართველოში ნეშტის გადმოსვენებისათვის საჭირო დოკუმენტების ლეგალიზაციისას და თარგმანის შესრულებისას;

მ) ~~პირები ადგილსამყოფელ ქვეყანაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი საგანგებო სიტუაციების დროს საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას;~~

ნ) ~~პირები საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას, საქართველოს შესაბამისი ორგანოს შუამდგომლობის შემთხვევაში;~~

ო) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებსა და საქართველოს ინტერესთა სექციაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილი დიპლომატიური თანამდებობის პირები, ადმინისტრაციული პერსონალი და მათი ოჯახის წევრები მათ მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას;

პ) პირები სხვადასხვა საკონსულო ფუნქციის შესრულების დროს გამოცემული აქტების გაფორმებისას საკონსულო თანამდებობის პირის ბრალეულობით დაშვებული შეცდომის გასწორების შემთხვევაში;

ჟ) საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და საკონსულო დაწესებულებებში ნასამართლობის შესახებ ცნობების აღებისას;

~~რ) პირები, რომლებზედაც გაიცემა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობა უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი განაცხადის საფუძველზე.~~

ს) საზღვარგარეთ სასჯელაღსრულების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში მყოფი პირის მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას.

ტ) საქართველოს საპატიო კონსული და მისი ოჯახის წევრ(ებ)ი მათ მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას.

2. საკონსულო მოსაკრებლის 50 პროცენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან საქართველოს შემდეგი მოქალაქეები:

ა) იძულებით გადაადგილებულ პირებად – დევნილებად ცნობილნი;

ბ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

გ) ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა;

დ) ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ.ე“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას.

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია პირი გათავისუფლდეს საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

5[1] მუხლი. საკონსულო მოსაკრებლის არასათანადოდ გადახდა

1. კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით მოსაკრებლის გადაუხდელობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის და ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად;
2. საკონსულო მოსაკრებელი, რომლებიც არასრულყოფილად იქნა გადახდილი ან საერთოდ არ იქნა დარიცხული, ანაზღაურდება იმ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რომლის ბრალეულობით განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხის გადახდის გარეშე მომსახურების გაწევა;
3. საკონსულო მოსაკრებლის უკან დაბრუნების წესი და შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

არასრული ვერსია N2

საქართველოს კანონი „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. ,,საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

✓ „მუხლი 4. საკონსულო მოსაკრებლის სახეები და განაკვეთები

1. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ საკონსულო მოქმედების შესრულებისათვის ან/და მომსახურების გაწევისათვის მოსაკრებელი გადაიხდევინება შემდეგი განაკვეთებით:

	მოქმედების ან/და მომსახურების დასახელება	**საქართველოს ფიზიკური პირისათვის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის ან/და საქართველოს იურიდიული პირისათვის**	**ბინადრობის ნებართვის არ მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქესათვის**
ა)	საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის საკითხის განხილვა	35 აშშ დოლარი	53 აშშ დოლარი
ბ)	<u>საქართველოს სავიზო უზრუნველყოფა</u>		
ბ.ა)	<u>საქართველოს მოკლევადიანი ვიზის გაცემის საკითხის განხილვა</u>	----	<u>20 აშშ დოლარი</u>
<u>ბ.ბ)</u>	<u>საქართველოს გრძელვადიანი ვიზის გაცემის საკითხის განხილვა</u>	----	<u>30 აშშ დოლარი</u>
გ)	დოკუმენტის საკონსულო ლეგალიზაციის განხორციელების საკითხის განხილვა - ერთი დოკუმენტისათვის	15 აშშ დოლარი	15 აშშ დოლარი
დ)	შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს კომპეტენტური ორგანოებიდან დოკუმენტაციის ან ინფორმაციის გამოთხოვისათვის განაცხადის გაგზავნა - ერთი დოკუმენტისათვის	10 აშშ დოლარი	15 აშშ დოლარი

ე)	ცნობების გაცემა		
ე.ა)	ნასამართლობის შესახებ ცნობა	მოსაკრებლის გარეშე	38 აშშ დოლარი
ე.ბ)	სხვა სახის ცნობები	25 აშშ დოლარი	38 აშშ დოლარი
ვ)	საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება	25 აშშ დოლარი	38 აშშ დოლარი
ზ)	საკონსულო აღრიცხვის წარმოება	მოსაკრებლის გარეშე	----
თ)	კონსულტაცია	მოსაკრებლის გარეშე	----
	საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცნობის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის, დიპლომის, ნიშნების ფურცლის, ატესტატის, სერტიფიკატის, პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, მართვის მოწმობის, საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის საკითხებზე გადაწყვეტილების/დასკვნის თარგმანის შესრულება ან/და თარგმანის სისწორის დადასტურება – თითოეული გვერდისათვის	10 აშშ დოლარი	15 აშშ დოლარი
ი)	სანოტარო მოქმედებების შესრულება		
ი.ა)	მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება	10 აშშ დოლარი	15 აშშ დოლარი
ი.ბ)	მინდობილობის/ რწმუნებულების გაუქმება	5 აშშ დოლარი	8 აშშ დოლარი
ი.გ)	დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება - თითოეული პირისათვის და თითოეული ხელმოწერისათვის	5 აშშ დოლარი	8 აშშ დოლარი
ი.დ	დოკუმენტის ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანის სისწორის დამოწმება - თითოეული გვერდისა თვის	5 აშშ დოლარი	8 აშშ დოლარი
ი.ე)	დოკუმენტის ასლის ან/და დოკუმენტიდან ამონაწერის სისწორის დამოწმება ან/და სანოტარო მოქმედების	3 აშშ დოლარი	5 აშშ დოლარი

	შესრულების შემდეგ დაცული დოკუმენტის ასლის გაცემა - თითოეული გვერდისათვის		
ი. ვ)	პირის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება, პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება, პირის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურება, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება	5 აშშ დოლარი	8 აშშ დოლარი
კ)	საზღვაო პროტესტის შესრულება	150 აშშ დოლარი	150 აშშ დოლარი
ლ)	საქართველოს დროშით მცურავი გემის		
ლ.ა.)	რეგისტრაციისთვის	900 აშშ დოლარი	900 აშშ დოლარი
ლ.ბ)	რეგისტრაციის მოწმობის გაცემისათვის	100 აშშ დოლარი	100 აშშ დოლარი

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ცნობა გაიცემა ადგილსამყოფელი ქვეყნის საქმისწარმოებაში დასაშვებ რომელიმე ენაზე, მისი თარგმა ნის შესრულებისათვის დამატებითი საკონსულო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.
3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობის გაცემა და „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტის დადასტურება ხდება ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე, ინფორმაციის გამოთხოვისა თვის ცალკე საკონსულო მოსაკრებელი არ გადაიხდევინება.

2. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. შეღავათები საკონსულო მოსაკრებლის გადახდაზე

1. საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

<u>ა) საქართველოს სავიზო უზრუნველყოფისას, შემდეგ პირებთან მიმართებით ან/და გარემოებების დროს:</u>

<u>ა.ა) ოფიციალური დელეგაციის წევრ(ებ)ი;</u>

<u>ა.ბ) დიპლომატიური და სპეციალური ვიზის გაფორმებისას;</u>

<u>ა.გ) საქართველოს მოქალაქის უცხოელი ოჯახის წევრი;</u>

<u>ა.დ) საქართველოს საპატიო მოქალაქე და სახელმწიფო ჯილდოს - ოქროს საწმისის ორდენის მფლობელი პირი.</u>

<u>ბ) საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაფორმებისას, შემდეგ პირებთან მიმართებით ან/და გარემოებების დროს:</u>

<u>ბ.ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლი/ სავარაუდოდ მსხვერპლი, დაზარალებული პირი</u>

<u>ბ.ბ) ადგილსამყოფელ ქვეყანაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი საგანგებო სიტუაციების დროს;</u>

<u>ბ.გ) სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პირი;</u>

<u>ბ.დ) 18 წლამდე ასაკის პირიბ.</u>

<u>ბ.ე) ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი;</u>

<u>ბ.ვ) თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე</u>

~~ბ.ზ) უცხო ქვეყნის ტერიტორიის ორგანის შიგნ რეადმისიის მიღების აღმკრძალველი სისტემის ტერიტორიათ განცხადის წარდგენის შემთხვევაში;~~

~~ბ.თ) საქართველოს ტერიტორიის ორგანის შეაჩერებლობის ტერიტორიაში.~~

გ) პირები საქართველოში ნეშტის გადმოსვენებისათვის საჭირო დოკუმენტების ლეგალიზაციისას და თარგმანის შესრულებისას;

დ) <u>საზღვარგარეთ სასჯელაღსრულების ან თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში მყოფი პირის მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას.</u>

ე) პირები რეპატრიაციის საკითხებთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებისას;

ვ) პირები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს ან საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერილი და ძალაში შესული ჰუმანიტარული ან/და ტექნიკური დახმარების შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში დახმარების განმახორციელებელი ორგანიზაციების თანამშრომლები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას;

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები;

ი) მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები;

კ) პირები სხვადასხვა საკონსულო ფუნქციის შესრულების დროს გამოცემული აქტების გაფორმებისას საკონსულო თანამდებობის პირის ბრალეულობით დაშვებული შეცდომის გასწორების შემთხვევაში;

ლ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებსა და საქართველოს ინტერესთა სექციაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნილი დიპლომატიური თანამდებობის პირები, ადმინისტრაციული პერსონალი და მათი ოჯახის წევრები მათ მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას;

<u>მ) საქართველოს საპატიო კონსული და მისი ოჯახის წევრ(ებ)ი მათ მიმართ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას.</u>

~~ნ) საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში და საკონსულო დაწესებულებებში ნასამართლობის შესახებ ცნობების აღებისას.~~

3. საკონსულო მოსაკრებლის 50 პროცენტის გადახდისაგან თავისუფლდებიან საქართველოს შემდეგი მოქალაქეები:

   ა) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

   ბ) იძულებით გადაადგილებულ პირებად – დევნილებად ცნობილნი;

გ) ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელი პირი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ე“ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას.

გ) ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირებისა;

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია პირი გათავისუფლდეს საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით“.

3) მე-5[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5[1] მუხლი. საკონსულო მოსაკრებლის არასათანადოდ გადახდა

1. კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით მოსაკრებლის გადაუხდელობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, საკონსულო თანამდებობის პირი უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის და ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად;
2. საკონსულო მოსაკრებელი, რომლებიც არასრულყოფილად იქნა გადახდილი ან საერთოდ არ იქნა დარიცხული, ანაზღაურდება იმ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, რომლის ბრალეულობით განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხის გადახდის გარეშე მომსახურების გაწევა;
3. საკონსულო მოსაკრებლის უკან დაბრუნების წესი და შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან[2].

---

[2] საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანონი, რომელიც იწვევს მიმდინარე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემდეგ. ხოლო მომავალ საბიუჯეტო წელთან დაკავშირებული კანონი – მთავრობის თანხმობით ან მთავრობის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ფარგლებში.